საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ხვედურეთი

ზემო ხვედურეთი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. ხვედრულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., თრეხვი, მეხეთი, ტყემალა, ქვემო ხვედურეთი, ქვენაფლავი, ღვლევი, ჭანდრები, ხეობა). ზ. დ. 680 მ, ქარელიდან 6 კმ. 1,5 ათ. მცხ. (2002). სოფლის სამხრ-ით დაახლ. 1,5 კმ-ზე, მთის ფერდობზე წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიაა. მას სამხრ-ით მინაშენი ჰქონია. სტილისტური ნიშნებით ეკლესია თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. აღმ. ფასადის წყობაში სარკმლის თავზე ჩასმულია მწვანე ქვიშაქვის ორნამენტირებული ფრაგმენტი – კვადრატულ ბაზისზე დაყრდნობილი შეწყვილებული ლილვები (თარიღდება XI ს-ით). ზ. ხ-ში ციციაანთ ეკლესიიდან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი.

იხ. აგრეთვე სტ. ხვედურეთი.

ჯ. გვასალია